ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5866468

ნომერი: AR1885543

თარიღი : 22.03.2022

გაცემის თარიღი : 28.03.2022

გაცნობის თარიღი : 29.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვანი , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნონა ლაცაბიძე პ/ნ 57001049105
- თბილისი მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზ. N 5 ბ. 34

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 22

მარტს №AR1885543 განცხადებით მომართა ნონა ლაცაბიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვანის ქუჩა №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.06.006.064) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4132116 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 22 აგვისტოდან 2020 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 15 აპრილის №4458874 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 22 აგვისტოს №4132116 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4132116 ბრძანებაში მშენებლობის ვადის ნაწილში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 10 აგვისტოდან 2024 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2020 წლის 10 აგვისტოდან 2024 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით“-ის ნაცვლად დაფიქსირდა „2020 წლის 10 აგვისტოდან 2022 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 03 აგვისტოს №AR1765639 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 48 (ორმოცდარვა) თვეზე.
შესაბამისად, სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2020 წლის 10 აგვისტოდან 2024 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4132116 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 10 აგვისტოდან 2024 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით“.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 აგვისტოს №5057489 და სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4132116 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.